

ნაგზი

ISSN 0132-6015

10 — 81
 ეკონომიკური
 პერიოდიკა



რესპუბლიკის ზოგ რაიონში საზოგადოებრივი ვენახების
 მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს.

ნ. ჯ. ლოლუასი

— ამ ზარმაცებს გავცალოთ, თორემ ჩვენ დაგვავარაუდებენ,
 თხამ ვინაში შევამაო!

მარტო მხილება

არ ქმარა!..

ჩვენს ნაკლს ჩვენ თვითონ დროულად
თუ არ აღმოვფხვრით, დავფარავთ, —
არ გვეშველება! — თანდათან
ბზარი გვექცევა ნაპრადად!..

ნაპრალი გაუფსკრულდება, —
ჩაგვითრევს დიდს და პატარას!..
ბოროტი დაძლევს კეთილსა,
გაბატონდება სატანა!..

წაგვებილწება სიცოცხლის,
ცხოვრების წყარო ანკარა!..
შეუძლებელი იქნება
ასეთი ყოფის ატანა!..


ამიტომ ნაკლი აღმოვფხვრათ! —
მარტო მხილება არ კმარა!

ზაურ ბოლქვაძე

პლაკატი ნ. მაღაზრონიძის

არ გაბეაღო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კიშკი ჩაა! „საყრდენი“

ანუ ფაქტები 1983 წლის ჩაის კრეფის სეზონიდან.

სანამ ქართული ჩაის ხარისხის ამაღლებისათვის საყოველთაო ბრძოლა გაჩაღდებოდა, იყო შემთხვევები, როცა ყოვლად უფარგისი ნედლეულიც ხარისხიანად საღებოდა. უხეიროდ მოკრეფილ ფოთლებში ხშირად ისეთი ტოტებიც ერია, რომელთა მოგლეჯა ყველაზე ღონიერ მარჯვენასაც არ შეეძლო!..

ჩაის ფაბრიკებში აქა-იქ გაიგონებდით გულისწუხილით ნათქვამს: — ერთი ნორმალურად მოკრეფილი ჩაის ფოთოლი მოგვცა გადასამუშავებლად!..

დიახ, რა დასაშაღია, რომ მაშინ ბევრგან მრავალნაირი ფორმისა და ზომის ნამგლები, მოღუნული დანები, მაკრატლები და, ვინ იცის, კიდევ რა სახის რკინის ნაკეთობანი არ გამოიყენებოდა სათუთი გარჯისთვის განკუთვნილი ნედლეულის მოსაპოვებლად.

და ეს სიავე, საუბედუროდ ისევ ადამიანის, არაკეთილსინდისიერი მეურნის ხელიდან გამოდიოდა.

სურათი თანდათან სასიკეთოდ შეიცვალა, „მწვანე

ოქროს“ მიდამოებიდან განიდევნენ არაკეთილსინდისიერი „რკინის ხელები“, ხოლო საკრეფ მანქანებზე მომუშავეებს შეასვენეს: ფოლადის „თითებზე“, წესის თანახმად, ერთ დროს მივიწყებული რეზინის სათითურების მორგება აუცილებელია! არც მცირე მექანიზაციის მხლებლები დავიწყებით, — მკაცრად გააფრთხილეს, მთლად „ნული ნომრით“ ნუ გაკრეფთ თავქოჩორა ბუჩქებსო!

ერთი სიტყვით, დადგა უამი სიახლისა, გარდაქმნადლორძინებისა, ჩაის კრეფის უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეში წესრიგის დამყარებისა!

მაგრამ ყველგან ერთნაირი გულმხურვალებით ვერ აუბეს მხარი ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, ცნობილი ზუგდიდელი ვეტერანი მეჩაიის — თამარ ყუფუნიას ინიციატივას და პატრიოტულ მოწოდებას. ზოგი ავ ზნეს აყოლილი კოლმეურნე თუ მუშა მაინც უხეშად არღვევდა ტრადიციას.

წალენჯიხის ერთ-ერთ ჩაის ფაბრიკაში შემთხვევით მოკვართი თვალი კარადაზე შემოგდებულ, ფორმით განსხვავებულ რამდენიმე ნამგალს. საწარმოს მუშაკებმა გაოცება რომ შეგვატყვეს, მოკლედ განმარტეს: — რო-
ლერიდან ამოიღო მორიგეჟი, მაგრამ ვისი მოტანილი
ნედლეულიდანაა, სამწუხაროდ, ვერ გავარკვეითო. ისე
კი „ნადავლი“ უჭველად ჩვენი ზონის ერთ-ერთი კოლ-
მეურნეობის კუთვნილება არისო.

იმ დღიდან მართლაც განვეწყვეთ საბრძოლო სურ-
ვილით, სადმე პირისპირ შეგვედროდით მშრომელთა
ღირსების, სახალხო ინტერესების შემძლავრებს და პა-
სუნი მოგვეთხოვა, მაგრამ ცდითა და მონდომებით ვერა-
ფერს მივაღწიეთ (იმით ხომ უჩინრად მოქმედების, შე-
ნიღბვის უნარიც აქვთ!). მერე კი, როცა ჩხოროწყუს რა-
იონში მივემგზავრებოდით, ანაზად, გზიდან მოშორე-
ბით, ჩაის პლანტაციებში მომუშავე ჩალისქუდიანი ქა-
ლის ხელში გაელვებული რკინა შევნიშნეთ. როგორც კი
მანქანიდან გადმოვედით, მკრეფავმა შეგვნიშნა, იარაღი
გადაისროლა და თვითონ აჩქარებით გაგვერიდა.

შუადღე იდგა. იმავე ნაკვეთიდან შესასვენებლად მო-
დიოდნენ ქალიშვილები. მოსწავლეები აღმოჩნდნენ, ქვე-
და ჩხოროწყუს საშუალო სკოლის მერვე-მეცხრეკლასე-
ლები, ჟვანიები, შამათაეები და სხვანი. გოგონებს ეშ-
მაკურად მოციმციმე თვალებში შევატყვეთ, რომ უხერ-
ხულად ჩაბღუჯულ ტომრებში რაღაცას მაღავენენ.

— თქვენც ხომ არ ატარებთ იარაღს?..

მოსწავლეებმა დაიმორცხვეს, ვერაფერი თქვეს. ერთ-
მა, რომელსაც მოლიმარი სახე ვარდისფრად შეეფაცლა,
თანატოლს გადახედა, მერე ორთავემ ტომრებში ხელები
ჩაყვეს და ნამგლები გამოგვიწოდეს — ერთი ჩვეულებ-
რივი, ნახევარმთვარის ფორმისა, მეორე კი უფრო მომ-
ცრო, ნაკლებად მომრგვალებული, ხერხისებური პირით.

შორიასლო თავშეკავებით მდგომი ვაჟი მოგვიას-
ლოვდა მორიდებით. ფიზკულტურის მასწავლებელი, რე-

ვლადიმერ ცხაკაიას კაბინეტში, მაგიდაზე ჩაის გრძელი,
დაჯოხიანებული, გადაუხეშებული ყლორტები

— რა უნდა ქნა, ასეთსაც გვიგზავნიან, აგრევატებს
დამუშავება უჭირთ, დეტალები ზოგჯერ მწყობრიდან
გამოდის! — შემომგვიჩილა დირექტორმა.

— ალბათ უარესი ნიმუში წარმოუდგენელია!.. საიდა-
ნაა?!

— გეჯეთის მეურნეობიდან! საერთოდ, ყველაზე ცუდ
ფოტოლს იქიდან ვღებულობთ!

— მინარევებიც მოჰყვება?

— სამწუხაროდ, კი, ნაწილობრივ!

— და მაინც ამუშავებთ ნედლეულს, რომელშიც ამ-
გვარი ტოტები ურევია?

ამხანაგმა ცხაკაიამ კითხვას დუმილით აუარა გვერდი
და სახის გამომეტყველებით გვაგრძნობინა, სხვაგვარად
არ შემიძლიაო.

ორიოდე საათის შემდეგ უკვე გეჯეთის ჩაის საბჭო-
თა მეურნეობის დირექტორ ალბერტ კურდღელიასთან
ერთად ჩაის პლანტაციებს ვათვალიერებდით. ზოგან
ბუნჩებზე მაღალი სარეველები ამოზრდილიყო, დაკნი-
ნებული ნაკვეთებიდან ტანჯვა-წვალებით გადაგლეჯილ
მწვანე მასის გროვაში სტანდარტული დუფის ნასახიც
ვერ შევნიშნეთ. წამით, შორს ისევ გაკრთა ლითონი!..
მუშას მკერდამდე წვდებოდა მცენარეები.

სხვა ნაკვეთში თავისუფლად მოთარეშე პირუტყვიც
ვნახეთ.

— ტერიტორია მთლიანად შემოკავებულია, საიდან
გაჩნდნენ?! — გაიკვირვა დირექტორმა.

— სარევეებს თუ ეტანებიან და ჩაის არ ერჩიან, რას
ერჩით, მუშახელის პრობლემას ნაწილობრივ გადაგვტრე-
ბათ! — დავაიმედეთ ხელმძღვანელი.

ა. კურდღელიამ ახსნა-განმარტების სახით გვითხრა:

— მეურნეობის ჩაის პლანტაციები ტიპურ ნიადაგზეა
გამენებული: ნაწილი — სფერულ კვლებზე, ნაწილი

ნამგალი ატარებს!

როგლებიც წალს კლარ უნდა განემორღვროს!

ვაზ გერსამია ვარო, თავი გაგვაცნო, — ამით ვხელმძღვა-
ნელობ, სირცხვილისაგან არ ვიცი, რა ვთქვაო!..

— პლანტაცია ვისია?

— ამავე სოფლის, ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნე-
ობის მეხუთე ბრიგადის! — საუბარში ერთი მოხუცი კა-
ციც ჩაგვერია.

— ძალიან საწყენია, რაც ნახეთ! — მღელვარე ხმით
დაიწყო მან, — მაგრამ ამ ბავშვებს არა აქვთ ბრალი.
დამნაშავე და დასასჯელი ისაა, ვინც მოზარდებს კეთი-
ლი რჩევის მაგიერ, ასეთი საქაგლობა ასწავლა!..


დავეთანხმეთ ბერიკაცს და დავემშვიდობეთ ღრმა
რწმენით, რომ საკავშირო გარდამავალი დროშის მფლო-
ბელ მოწინავე სასოფლო-სამეურნეო რაიონში ამგვარ
ფაქტებს საბოლოოდ აღკვეთდნენ.

კრეფის სეზონის მიწურული დღეებია. ცხაკაიას რაი-
ონის ჩაის სამრეწველო გაერთიანების დირექტორის,

კი — ჩვეულებრივად, დამშრობი ქსელის გარეშე. სარე-
ველების საწინააღმდეგოდ პერბიციდების გამოყენებაზე
1976 წლიდან გვაქვს ჩაისა და სუბტროპიკული კულტუ-
რების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ
მუშაკთა რეკომენდაციები, მაგრამ პრაქტიკულად საკი-
თხი დღემდე ვერ გადაწყდა. ნიადაგი იმდენად ჭარბტე-
ნიანია, პლანტაციების ნაწილი კნინდება!.. დავსვით სა-
კითხი დამშრობი ქსელის რეკონსტრუქციისა და მშე-
ნებლობის შესახებ... ზოგ შემთხვევაში ირღვევა კრეფის
წესები!.. — ზოგადად და ბუნდოვნად დასძინა ა. კურდ-
ღელიამ.

მე კი ისევ სარეველამორეული პლანტაციის ბოლოს
გაელვებულ ნამგალზე ვფიქრობდი და ამ ფიქრმა მათქ-
მევინა: სირცხვილი იმას, ვისაც ჩაის „საკრეფად“ ნამგა-
ლი აუღესაგს!..

ანზორ ბარამია,
„ნიანგის“ კორესპონდენტი ზუგდიდის ზონაში.



ჭინღაობა

ბოლო ხანებში ქალაქის წყალ-სადენ-კანალიზაციისა და თბომეურნეობის ვაიმართვის უისისტემების კოორდინაციამ იმ მიწისქვეშა დონეს მიაღწია, როცა ქალაქის სატელიფონო ქსელის სამეთვალყურეო ჯგუფიდან შესაძლებელი ხდება თვალყური ვადევნოთ ორივე უწყების მიწისქვეშა კომუნიკაციების მდგომარეობას. ერთ ასეთ სამეთვალყურეო ჯგუფში, კლარა ცეცხლისა და მერკვილაძის ქუჩების გადაკვეთაზე, ცხელი წყალი ამოიქვეშ, ხოლო ორჯონიკიძისა და კლდიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე სამ ჭას თხევადი მაშუთი ტბორავს!.. გაურკვეველი ფერის სითხითაა სავსე ჭები გაგარინის მოედანზე, მარჯანიშვილისა და ორჯონიკიძის ქუჩების გადაკვეთაზე, ერთგან ცხელმა ორთქლმა დააზიანა მაგისტრალური კაზელი, რაც დღემდე აღსადგენია, რადგან ჩასვლა ფიზიკურად შეუძლებელია!.. შეიძლება მყვინთავებისა და აკვალანგისტების დაჭირავება, მაგრამ ცხელ წყალში, ან მაშუთში როგორ დაყვინთავ?

ვნახოთ, იქნებ თბომეურნეობის, ან წყალსადენ-კანალიზაციის მესვეურებს აღმოაჩნდეთ საამისო გამბედაობა!

ნიანგი აცხადებს ძებნას!

ნიანგმა აღმოაჩინა დიდი რაოდენობით რკინის მილები, რომლებიც გარკვეული ან გაურკვეველი მიზნით რამდენიმე წელი აწყვია საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო გაერთიანება „ფონიკალის“ ტერიტორიაზე.

კარგად დააკვირდით ამ ფოტოს: ნიანგი აცხადებს ძებნას მილების მფლობელების დასადგენად.


ასაკი: 18-დან 60 წლამდე.

გარეგნობა: შესაძლოა იყოს შავ გვრემანი, ან პირიქით.

ხასიათი: უდარდელი, გულგრილი, სახალხო ქონებას აინუნშიც რომ არ აგდებს.

ნიანგი სთხოვს თავის მკითხველებს:

თუ ასეთი პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი, ე. ი. დაწესებულების კოლექტივი სადმე გვინახავს ან შემთხვევით შეგვხვდრია, სასწრაფოდ აცნობონ რედაქციას! (მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 42, ტელეფონი 99-19-42.).



ჩვენი სტუდენტები


სოხური საბიჯალ-იუმორისტული
ჟურნალი „პოზნა“

იუმორი

ნ.ბ. შ. ღარბინიანისა

დირექტორი ნაპიდა და...

ნოვალა



შტატში ჩარიცხული მამალი

სალსური იუმორი

— ბრალდებულს ონეს, როცა სხვის ბინას ძარცვავდი, ნუთუ შენი ღარიბი მშობლები არ გაგახსენდა?!

— როგორ არა, ბატონო მოსამართლე, გამახსენდა, მაგრამ საიმათო არაფერი იყო იმ ბინაში!

თვითმფრინავში უცეხ ნათურა აინთო.

— რად ანთეს? — ეკითხება ერევნელი ლენინაკანელს.

— ახლა ჩვენი თვითმფრინავი გვირაბში შევა! — მიუგო ლენინაკანელმა.

— ერთი კვირაა, არ ჩანსარ! — უსაყვედურა ბრიგადირმა ონესას, — რა შეგემთხვა?

— არაფერი, ბრიგადირო-ჯან, შენ ხომ მითხარი, მთვრალი არ მოხვიდეო, მეც დღეს გამოვფხიზლდი და მოვედი.

— გოგო, ბიძაშენს რატომ არ დაუწყვე კოვზი და დანა-ჩანგალი?

— გუშინ არ მეუბნებოდი, ბიძაშენი ღორივით თქვლეფავსო?

— თქვენი აზრით, რა სჯობია, იყო: სულელი თუ მელოტი?

— რა თქმა უნდა, სულელი! მელოტი აშკარად ჩანს!

— ცოლს თუ შეუძლია, ქმარი მილიონერად აქციოს?

— შეუძლია, თუ ქმარი მილიარდერია!

გვერდი მოამზადა და თარგმნა არჩილ ღავითიანმა

— მე იქ შეძახიან! — მიმართა დირექტორმა თავის მდივანს და საჩვენებელი თითი მაღლა აღმართა, — ვინც მიკითხოს, უთხარი, ოთხ საათზე იქნება-თქო!

მდივანმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

დირექტორი წავიდა თუ არა, საწარმოო განყოფილების გამგე ასპარეზი ეახლა მდივანს, გაიკითხა-გამოიკითხა შეფის ამბავი, მერე თქვა, რამდენიმე წუთით პოლიკლინიკაში შევირბენო და ბაზრისაკენ მოქუსლა. მარაგინაში განყოფილების გამგე რომ აღვიღებ არ დავიგულა, მდივანს ეახლა, იმანაც გაიკითხა-გამოიკითხა შეფის ამბავი, სკოლაში ვარ დაბარებულიო, თქვა და წავიდა. ამას ფეხდაფეხ მიჰყვა საფინანსო განყოფილების თანამშრომელი პატრიკიანი, ტელეფონის გადასახადი მაქვს შესატანიო და კინოში დურთა თავი. პატრიკიანს გოგონიანი დაედევნა, გოგონიანს — დოდონიანი და წეროებივით მიჰყვნენ ერთმანეთს სხვებიც.

— მეც წავალ, სარეცხს ჩავალბობ და მოვალ, — თავისთვის ჩაილაპარაკა მდივანმა და ჩამორჩენილ წეროსავით გამოეყიდა წასულემს...

მაგრამ!.. თხუთმეტი წუთის შემდეგ დირექტორი დაბრუნდა. დაწესებულებაში აღარავინ იყო!..

მეორე დღით დირექტორმა საგანგებო კრება ჩაატარა, ვინ იცის მერამდენედ შეჩვენა, გამოცდა მოგიწყვთო, გაათათხა, სულ კაკალი ამტვრია თავის პრეფს თავზე. დაბოლოს, გააფრთხილა, დღეს რაიონში მივდივარ, შენი არავინ მოიცვალოს, თორემ... და დაემუქრა.

მაგრამ მანქანაში ჩაჯდა და წავიდა თუ არა, რამდენიმე წუთის შემდეგ დაწესებულებაში აღამიანიშვილი აღარ ჰგავნებდა.

2. სარგისიანი




ნ.ბ. შ. ღარბინიანისა

განდილების მანია იმ ქვეყნადაც არ ახვენებს!

6

გვერდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— ნიჭიერი კაცისთვის ერთ საშტატო ერთეულს ხომ ვერ გამოძებნიდით?
— მაგნაირისათვის სადღა დაგვრჩა ადგილი?!

რა შენი საქმეა?

იუზოპოლი

უფროსმა ოსტატმა მიხმო და სხვათა შორის მკითხა:

— ლუკა, ისეთ ტაფას თუ გააკეთებ, ორი სახელური რომ ჰქონდეს, იქით-აქედან?

დავფიქრდი და მეც სხვათა შორის ვუბასუხე:

— შეიძლება!

ენის წვერზე დავიჭირე შეკითხვა: „მაგრამ რა საჭიროა?“ შეკითხვა დავაკონსერვე და საკუთარ თავს ვუსაყვედურე, რასაკვირველია, გუნებაში: „რა შენი საქმეა?“

გავაკეთე ორსახელურიანი ტაფა, როგორიც მითხრეს, ისეთი.

დამიძახა სამუშაოს უფროსმა და სიცილით მკითხა:

— ლუკინო, ისეთ ქვაბს თუ გააკეთებ, ფსკერი რომ სამგან გახვეტილი ჰქონდეს?

მეც სიცილით ვუბასუხე:

— რატომაც არა!

ის კი აღარ მიკითხავს, ვის რაში სჭირდება ფსკერზე სამგან გახვეტილი ქვაბი. „რა შენი საქმეა-მეთქი!“ — ვუთხარი საკუ-

თარ თავს და გავაკეთე, რაც შემომთავაზეს.

მერე მთავარმა ინჟინერმა გამომიძახა, სავარძელში ჩამსვა, სიგარეტი მომაწოდა, დამაკვირდა, თვითონაც ამოიღო ლერი, მოსრისა და თვალმოუცილებლად მკითხა:

— ლუკა, შენზე ლეგენდებს ჰყვებიან! თუ შეგიძლია, ისეთი ნემსი გააკეთო, ყუნწში რომ ცერა თითი გაეტიოს?

მეც მოვსრისე „მაღბოროს“ ლერი და თვალმოუცილებლად ვუბასუხე:

— შეიძლება!

მერედა ვის რა ჯანდაბად უნდა მასეთი ნემსი-მეთქი! — კინაღამ წამომცდა. კიდევ კარგი, დროულად იმოქმედა რეფლექსმა: „რა შენი საქმეა?“ — შევუტიე საკუთარ თავს და დაკვეთის შესასრულებლად გავეშურე.

მიხმო დირექტორმა, დივანზე დამსვა, გვერდით მომიჯდა, ხელი მუხლზე დამადო და შემპარავად მკითხა:

— ლუკა ჩემო, შენზე სასწაულები მესმის,

დავიჯერო, შეგიძლია შენი მარჩენალი უშველებელი დაზვისაგან პატარა, სათამაშო დაზვა გააკეთო, რომ მუშაობდეს, ისეთი?

მეც დავადე დირექტორს მუხლზე ხელი და მასავით შემპარავად ვუბასუხე:

— ვცადოთ!

აღბათ შვილიშვილისთვის უნდა-მეთქი, — გავიფიქრე და იქვე დავტუქსე ჩემივე პიროვნება: „რა შენი საქმეა?“

დიდი დრო და ენერგია მოვანდომე დირექტორის იდეის განხორციელებას, მაგრამ ჩასაყლაპი სათამაშო დაზვა გამომივიდა, გული დამწყდა, როცა წაიღეს...

ახლა მარჩენალი დაზვა აღარა მაქვს.

თქვენ უნდა გკითხოთ: უფლება მაქვს თუ არა, საკუთარ თავს ვუთხრა: დიხს, შენი საქმეა-მეთქი?!

თუმცა ეს რა თქვენი საქმეა!

ლერი ჩანტლაძე

მიხედა ოჯახს!

არ გავიწყდება არც ერთი წუთით,
რაღ იმოდენა (ამისთვის ყოჩაღ!),
მაგრამ ვაი, რომ მამა ხარ ცუდი
და ზრუნვას აკლებ საკუთარ ოჯახს!
ვერ დაგიკარგავთ: ხელქვეითს მრავალს
ხელმძღვანელობ და კარგად უძღვები,
მაგრამ არ გახსოვს, რომ შენ ხარ მამა
უპირველესი ქვეყნად უწყების!
ბრძანებებს წერ და გეგმებს ასრულებ,
პრობლემას სვამ და თავს იტყენ
დიდხანს,
მაგრამ საკუთარ ვაჟებს, ასულებს
რატომ არ ეტყვი საჭირო სიტყვას?
თუ რიგით მუშას უფლება არ აქვს,
ირცხვენდეს თავს და გარცხვენდეს
შენაც,
შვილები რატომ არცხვენენ ქალაქს,
ამაზე რად არ ასვლებ ენას?
თუ სამსახურში შენს ყოველ სიტყვას
აქვს განუხრელი კანონის ძალა,
ხმას რად არ იღებ ოჯახში, გვითხარ,
როცა შვილები გაგდებენ არად?
მისედე ოჯახს! —
სჭირდება შველა!
გვიან იქნება თითზე კბენანი!..
უხელმძღვანელებს ქარხანას ყველა,
ოჯახს —
მხოლოდ შენ და სხვა ვერავინ!



თქვი, ხომ ყველაფერს გაიმეტებდი?

ვიცი, რომ შეცდი,
ოცდაათ ვერცხლად
როდესაც სული მიპყიდე ეშმაკს!
ვიცი, ის ვერცხლი
შეგერგო ცეცხლად
და ძლივს გადურჩი ქუდიდან შეშლას!
უსულო კაცი ქუჩებში დახვალ
და საკუთარი,
საკუთარი თავი გებრალვის!
ო, შენი სული გაჩვენა ახლა —
ეშმაკის ტანში საწყლად შემძვრალი!
ქარს გაჰყვა
შენი ოცნებები და იმედები
და მარტოსული წვალთბი სასტიკად!..
თქვი, ხომ ყველაფერს გაიმეტებდი
იმ წყუთლისგან
შენი სულის გამოსასყიდად?

პარმენი

ბარში მუშაობს პარმენი,
არის უბრალო პარმენი,
თუმც კაი კაცად იცნობენ, —
არის ქურდი და მპარველი!..
ხელი არ ახლოთ, იცოდეთ,
„ღმერთია“ მისი მფარველი!



აპქსენტი

ორსაქენიან აპქსენტის
ცნობენ ხშირად და აქცენტი,
ყოველდღე არის თამადა,
სხვებს ათობს, თვრება თავადაც.

უყვარს ქეიფი, ჭამა-სმა,
ღვინოს ეძახის წამალსა.
არის თამადა უცვლელი,
მოსწონს ხუმრობა, ქილიკი!..
დღე-დღე უზრდება მუცელი,
თავი კი... თავი — პირიქით!..

რომ მქონდეს რამე თილისმა,
მეუბროს ბუდი აპქსენტის,
დავაუწყებდი ღვინის სმას,
კარგ ტრაქტორისტად ვაქცევდი!



ანგია

ვერ დაუწუნებ ვერაფერს,
ერთი შეხედვით, ანგიას,
თაფლი ადნება ენა-პირს,
სიტყვა-პასუხი კარგი აქვს.

ცუდს არავისზე არ ამბობს,
შვილებს ზრდის, ოჯახს უძღვება,
ცდილობს, სუყველას აამოს,
სუყველას სულში უძვრება.

სუყველას ფეხქვეშ ეგება,
მკვლელსაც ეძახის, ანგელოზს,
ხელს არ გაანძრევს, რეგვენმა
ასი რომ სილაე აგემოს!



ტიტიკო

თუმცა პქვია კრიტიკოსი,
რატომ? რისთვის? — ნურვინ მკითხავს!
არვის სჯერა ტიტკოსი,
რადგან ახლა სწავლობს კითხვას!

ჭოღა

ანუ რატომ თქვა გიჟმა უბრი
საბავშვო ბაღში სიარულზე

შუქნათელი აივნები
ხავს იყო ყვავილებით,
ილიმოდენ თოჯინები..
მოკლედ მოგპრი, ვიტყვი ახე:
არაფერი აკლდათ ბავშვებს!
მოეწონა კოლას ბალი,
კმაყოფილი არის ბაღი.
მაგრამ მაინც მეორე დღეს
უარი თქვა ბაღზე კოლამ.
დილით ბიჭი დედას ეტყვის:
„მირჩევნია სახლში წოლა!“
უარი თქვა, იცით, რატომ?
(საიდუმლოს დედას ანდობს):
ერთ ბიჭს ერქვა გულივერი,
მეორეს კი — ჰიპერბოლა,
სხვას — შოპენი, სხვას კი — ვერდი,
სხვას — გარინია, მას კი — კოლა!
ტრეტიკი, ალიბაბა,
გარგანტუა, ემილიოლა,
იაშინი, კვანტი, ალფა,
ფანტომახი!.. მას კი — კოლა!
ფირდოუსი, ჰომეროსი,
გრიგი, ბაბი და მაცოლა
და მეოცეს — გენიოსი!..
მას კი კოლა, კოლა, კოლა!..
აი, რატომ თქვა უარი,
რად არ მიდის ბაღში კოლა,
დასცინოდნენ, რა გქვიაო,
„კოლა“ არვის მოეწონა!

არ შეცდეთ!

ეს ქალი ქვეყნად არვის ცოლია,
თუმცა ბებერი ყორნის ტოლია,
გააფებული შინაბერაა,
შურის ბუდეა, ჭორის კერაა!

შორიდან თითქოს სათნო ქალი ჩანს,
მაგრამ არ შეცდეთ, წუთით შეჩერდით!
ერთ დღეს იყიდა ოცი ხალიჩა
და ოცდაორი ოქროს ბეჭედი!..

ო, იგი ღვარძლით საესე ქალია,
მუხანათია, წუწკი, ცბიერი,
ლაწვზე მოზრდილი შავი ხალი აქვს
და ჯადოქარის დაჰკრავს იერი.

უსინდისოა, ღრძო და თაღლითი,
მოლაღატეა, ცრუ და ვერაგი,
მთელ საქართველოს წამში გაყიდის
ერთ ცალ იმპორტულ ღამის პერანში!

„სულსტრაციები“ ჯ. ლოლუასი



— ცოტნე ვარ, დადიანი, მე მაინც მომ-
ვიდეთ იაფად თაფლი!

● **ქურდს** დანაშაულზე წაასწრეს და ტომ ადრე არ მოვიპარეო.
● **პაპარაქის** მეპატრონე ჩიოდა: აშენება ისე არ გამ-
ჭირვებია, როგორც გაჩუქებიაო.
● **ლუდის** გამყიდველი წუწუნებდა: ახლა საპონიც ვეღარ
ამიჭაფებიაო.
● **გშაწაგალი** წუხდა: აქამდე სხვის სახლებს ვერ ვაშენებდი
და ახლა ჩემიც ვეღარ ამიშენებიაო.
● **გამყიდველი** ამბობდა: იყო დრო, მომხმარებელი ძალით
მართმევდა ხურდას, ახლა კი ჩემი ნებით ვაძლევო.
● **სასწორება** დაიჩივლა: აქამდე საწყობის გამგე და ექს-
პედიტორი მესმარებოდნენ, ახლა კი მარტო მე მისდება მთელი
ტვირთის გადაწონაო.
● **ღირაქტორა** უერთგულესი საწყობის გამგე რომ
მოსხნა, ბუღალტერმა თავისთვის ჩაილაპარაკა: ახლა კი მჯერა,
დიდ სიყვარულს რომ დიდი სიძულვილი მოსდევსო.
● **ნაცნობ** რესტორანში მომხმარებელს კერძი რომ მიუ-
ტანეს, ოფიციატს გაკვირვებით ჰკითხა: მე ერთი ულუფა გთხოვეთ
და თქვენ ორი რატომ მომიტანეთ?

ლექსიკონი

წამალი — სამკურნალო საშუალება, რომელიც ავადმყოფმა თვითონ
უნდა მიიტანოს საავადმყოფოში.
ღიპლომი — სასწავლებლის დამთავრებისა თუ სამეცნიერო ხარის-
ხის მინიჭების დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი, რომელსაც
ზოგიერთები ყიდულობენ.
პასპორტი — ქალისათვის ფრიად საიდუმლო საბუთი.
ქორწინების მოწმობა — ზოგი ფაქტიურია, ზოგი — ფიქტიური.
სამკაული — ზოგს ამკობს და ზოგს ამახინჯებს.
სინდისი — იგივეა, რაც პატიოსნება, რომლის გაყიდვა შეიძლება,
ხოლო ყიდვა შეუძლებელია.
მაკულატურა — კარგი წიგნის შესაძენი საშუალება.

თაიფურაჯ ქრისტიანოშვილი

დანახუთი, აკინიგზის სარგაჰი სუუსა

ვარ სუფსაში და ცხვირ-პირი
აკრული მაქვს თეთრი ზეწრით!..
ბავშვს ქაფშიის სუნი ახრჩობს,
რა ვენა, პაერს ხომ ვერ
შევცვლი?!

ვინაც „პასმელიაზეა“,
ჩამოვა და აქ მშვიდდება:
ჩამოასხამს ლუდს და თევზის
დაყოლება არ სჭირდება!
თუ ფნიზელი ჩამობრძანდი,
ხარ პირქუში, სიტყვაძვირი;
რადგან პირით ვეღარ სუნთქავ,
ნესვისსეულა ხდება ცხვირი!..
არ შეშვენის ეს ჩვენს სუფსას —
სოფელს სუფთას, ლამაზ
კურორტს!

აშმორებულ წვენს ქაფშიის
იქნებ „დუნი“ მოასხურონ, —
რომ პაერი ადრინდელი
დაუბრუნდეს სოფლის ცასა,
თორემ ხმაღში გამოვიწვევ
ჩემს გამგუდველ ქაფშიასა!

ჯეგალ კვარანჩილაძე



ნახ. ჯ. ლელაძისა

— ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე!..
— შენ რა გაქვს დასაჩოქებელი, ისეთი ფასები დაგიდგია, ჩვენ
უნდა დაგიჩოქოთ!



புனிதவருட

როცა მთავარია ჩოდუნობა!

მარშანწინ ჩვენი დაწესებულებისათვის
ფეხწერწებთ მაგიდები და სკამები შევიძინეთ.
(პარკი რამდე კი შეგვიძინია)
ვიცი, იქითხვავთ: საშინა საქმე, იმ ავეჯს
ხელოსნის სახელი ხომ არ შეურცხვენია?
რალა დავიმალეთ, ყველანი ჩემები ხართ და,
ლაწლაწა ფეხები გინდ ჰქონია და გინდა არა!
აბა, დაეურდებით, არ დაჰყენთ ვაზიდულად,
უკაცრავად კი, მაგრამ წახვალთ ყირაშლა! —
ასეა ჩვენი საწყალი ავეჯის საქმე!
ჩვენ, თანამშრომლებს, ნუ დაგვაბრალბთ, გეთყავთ!
მაშ, რაა მიუწი, რა მოხდა?!
რა ვიცი, აბა, რა ჰირი ეტაკა?!
დაფუშვით, იმ ხელოსანმა ხელი შეირცხვინა, —
სად იყო ფაბრიკის კონტროლი ამ დროს?
შეიძლება, ამხელა უპასუხისმგებლოს
ამხელა საპასუხისმგებლო საქმე ვანდოთ?!
ჩანს, კონტროლმა არ იცოდა დღეის მოთხოვნის დონე,
თორემ არ მოადუნებდა ასე?!
ჩანს, არ კითხულობდა გაზეთს
ჩანს, ჩემი ცოდვით სავსე!
უკონტროლობა, ვთქვათ, კიდევ არაფერი!
მალაზიამ რად მიიღო ის გასაყიდად?
ჩანს, გაბეგ ადვილობისათაფლი კაცი იყო,
ხათრი და ძმაცაცა გაიღო გზად და ზიდად!
... სხვას რად ვაბრალბთ ჩვენს უფერგილობას?!
მყიდველია მთავარზე მთავარი კონტროლი!
არ უნდა ვაგვესინჯა საქონელი ორიდანად?!
ფული ხეს ხომ არა სცვივა, როგორც ფოთოლი?!
... ხელოსანმა კი, ალბათ, გეგმის შესრულება იზიმა
და დიდი ტაშფანდურა გაახურა!
რატომაც არა, არ ჰქონდა საზეიმო? —
გასახლა ამდენი ხარახურა..
ამდენი მაინც არ გამოგეშვით, თქვე კაი კაცებო,
ეგრე მთელ ქვეყანას არ იყოს მოდებული!
გვეკითხებიან, ვისიან? ვინ არის ავტორი?
ვუპასუხებთ: შემთხვევითი ზელოსნად წოდებული!
ეგრეა, შეიღო და ძმაო, თუ შენი საქმე არ გიყვარს,
თუ შენი საქმე გუღზე არ გედება,
უგულოდა და ჰაიპარად
რამე კეთდება?!

ლალი მარტაშვილი

ნაკიდების კვადრატზე

რედაქციის შემოვიდა წერილი საქართველოში მეფუტკრეობის დარგის ჩამორჩენის შესახებ. აინიშული წერილი გადაეგზავნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის სამეცნიერო-საწარმოო რესპუბლიკურ გაერთიანებას, სიღაძე გვიპასხეს:

დაბადებული იყო 1926 წლის 11 იანვარს, სოფ. ლაგოდეხში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობდა სსრკ-ის უმაღლესი სახელმწიფო პრემიის ღირსშესანიშნავი ნაშრომის ავტორად. მისი ნაშრომები დაკავშირებულია ატომური ენერგიის გამოყენების საკითხებთან. მისი ნაშრომები დაკავშირებულია ატომური ენერგიის გამოყენების საკითხებთან. მისი ნაშრომები დაკავშირებულია ატომური ენერგიის გამოყენების საკითხებთან. მისი ნაშრომები დაკავშირებულია ატომური ენერგიის გამოყენების საკითხებთან.

შექმნილი მაგისტრატების გამოსასწორებლად მეფუტკრეობის რესპუბლიკურ გაერთიანებაში მომზადდა ღონისძიებათა პროექტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ და ითვალისწინებს მეფუტკრეობის შემდგომ წინსვლასა და აღმავლობას, კერძოდ: მზადდება ქარხნის პროექტი, სადაც გადამუშავდება მეფუტკრეობის პროდუქტები და დამზადდება ფუტკრისათვის საჭირო ხელფასური საკვები და საპურნალო პრეპარატები. გათვალისწინებულია მეფუტკრეობის სამეურნეოებათაშორის გაერთიანების შექმნა, სადაც უკეთ გამოვითქნენ ფუტკრის მოშენების თანამედროვე მეთოდებს, რათა ნაცვლად წვრილი, დაქსაქსული მეურნეობებისა, მეფუტკრეობა გადაიქცეს უფრო ფართო, რენტაბელურ დარგად.

გაეროთანებაში, ბოლო პერიოდში განხორციელდა მთელი რიგი პროგრესული ღონისძიებები — ხელოვნურ საკვება წარმოება, ახალი სამკურნალო საშუალებები (ფენოტაინის, ჰიანტეიდისა და მჟაუნის მჟავას, ცილოვანი-ვიტამინოვანი კონცენტრატის) დამზადება. რამაც უკვე თვალსაჩინო ეფექტი მოგვცა“.

ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს:

თელავიდან, ადგილობრივი ეკონომიკის კომიტეტის № 2 სამეურველო სამსახურის მუშები გვყვებიან: „ხაშუშაზე ვცხადდნენ ღვინო, მაგრამ საცემს არ გაძაღდნენ და ცაცდენილი ძვრათხს საათებს, დღეებს, რის გამოც არ ვღებულობდით ხელფასს (პრემიაზე ლაპარაკი ზოგ შემთხვევაში). ვინ უნდა აგვიანა ღვინო საწარმოს ადმინისტრაციის მიწვილი ცაცდენილი ღვინო?“

აღნიშნული წერილი შესასწავლად გადაეგზავნა ჩვენს კორესპონდენტს ჯ. გიორგიელაშვილს, რომელიც გვატყობინებს:

„კოლექტიურ საჩივარში მოყვანილი ფაქტები ნაწილობრივ სიმარ-
თლეს შეეფერება. გასული წლის 10 აგვისტოს მუშებს გამოუცხა-
დეს, მასლების უკონლობის გამო დროებით შეისვენეთო. ეს
„დროებითი შესვენება“ 22 დეკემბრამდე გაგრძელდა. სულ გაცდა
94 საშუალო დღე. მშრომელების მოთხოვნდნენ წარმოების მიწვევით
გაცდენილი დღეების ხელფასის ანაზღაურებას. საქმეში ჩაირი-
აიონის პროკურატურა, რომელმაც საქართველოს სსრ შრომის
კოდექსის თანახმად კომბინატის აღმინისტრაციის დავადა გაცდე-
ნილი დღეების მიხედვით მუშებისათვის გადაებადა საშუალო ხელ-
ფასის 50 პროცენტით“.

თელავიდან მოგვყარეს აგრეთვე იმის შესახებ, რომ რკინიგზის სადგურის ტერიტორია კეთილმოუწყობელია, სადგურიდან ქალაქამდე სამი კილომეტრის სიგრძის გზა მწყობრიდან გამოსულია და მგზავრის ფეხით უხდბათ სიარული. წერილში უწყავიფილებას გამოთქვამდნენ „თელავი-გომბორი-თბილისის“ გზის უკარგისობაზედაც. ამ წერილის თაობაზე კორესპონდენტმა რელაქციას აცნობა:

„რაიონის ხელმძღვანელობამ იმსჯელა ამ საკითხზე და სადგურის ქუჩა სიეჭსაშუალოდ გადასცა რაიხაზგაო-საწარმოო უბანს. უკვე შედგა პროექტი, ხარკთაღრიცხვა და დაწყებულია ქუჩის რეკონსტრუქცია. სულ მალე სატვირთო ბაქანი გადატანილი იქნება „აინიეულში“ და განიტვირთება სადგურის ტერიტორია. რაიხაზგაო-საწარმოო უბანში დროებით შეაკეთა სადგურის ქუჩა და რეგულარულად მოძრაობს ავტობუსი.

რაც შეეხება თელავ-გომბორ-თბილისის სამანქანო გზას, იგი ნამდვილად დაზიანებულია და მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას. ხოლო თელავი-ვარციხისგან 48 კილომეტრამდე გზას ექსპლუატაციას უწყის რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს თელავის № 2 უბანი.“

მუ ვაზინ გტონიდან ზოგჯერ გაისმის მშვიდობისმოყვარული რიტორიკა, მის ზილმა, რაც უნდა სურვილი გქონდეს, ვერ დაინახავ უმცირეს ნიშნებს, რომ მზად არიან ეს სიტყვები განამტკიცონ პრაქტიკული საქმეებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი სიტყვები ახალ პოლიტიკას არ ნიშნავს.

კ. უ. ჩარნაძე



საღება, როგორც სახლის ბუხტი



საბჭოთა და დემოკრატიული
წილის ბიბლიოთეკა
მანძი გამოცემის 1923
წლის ივნისიდან

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბურჯაძე

სარედაქციო კულუბი:

ავთანდილ აფთხიშვილი
(პასუხისმგებელი რედაქტორი)
გაბუა ამირეჯიბი, ნოდარ ბარათაია, ზორბეგ ჯორჯაძე,
ლოია ნოდარ ჯუმაშვილი, რე-
ვაზ თვარაძე, კეზელ დი-
ლაშვილი, ნოდარ მალაზონია
(პატივით - რედაქტორი)
ალექსანდრე სამხონია,
სეფან ხაბარდიაშვილი (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ქანსუდ ჩარკვიანი, თამაზ
წყეშვაძე, ნადი ჯუმაშვილი.

ტექნიკური რედაქტორი
მხედო კუხალაშვილი

გადაეცა ასაწილად 20.4
84 წ. ბელმონტისა და
სამედიკო 145. 84 წ.
ქალაქის ზომა 80x90 სმ.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურც-
ლი 1,25, საბეჭდო-საგ-
ომეცემლო თანახმი 1,7, სა-
ქარაუგლოს კმ ცკ-ის გა-
საშვებლობა, ღრუბის, 14
შეკვეთა 16 955, 19 99041,
ტირაჟი 108.300, გურნალი
გამოცემის თვეში ორჯერ
რედაქციაში შემოსულია
საბეჭდო ავტორებს არ უნ-
და რედაქცია.

რეგისტრაციის ნომერი 280008
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 69-55-54
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, 2/3 მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 69-02-38, ვახ-
უშვილების გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
ერატურის — 69-02-38,
მდივნის - შემანქანის —
93-16-69.

სატირიკო - ჟიორნალის-
სკი ჟურნალი «НИАНИ»
(На грузинском языке)
თბილისი, პრ. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии, Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფანდი 20 კაპიტალი
0502460 76137